

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტში, მონეტარული პოლიტიკის განყოფილების მესამე თანრიგის მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე.

მონეტარული პოლიტიკის განყოფილება ახორციელებს ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესების ანალიზს და მათ საფუძველზე წინადადებებს აწვდის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტს და ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით. განყოფილების მოვალეობებში შედის ასევე აქტუალურ ეკონომიკურ თემებზე კვლევითი ნაშრომების მომზადება და გამოქვეყნება.

სამუშაოს სპეციფიკა მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს განავითაროს და წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები. ორგანიზაციის შიგნით და საზღვარგარეთ ტრენინგებზე მონაწილეობით, აგრეთვე გამოცდილ უცხოელ ექსპერტებთან ურთიერთობით, დასაქმებულს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მსოფლიოში არსებულ თანამედროვე პრაქტიკას ამ სფეროში და გაიღრმავოს პროფესიონალიზმი.

ფუნქციები:

- ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და საქართველოს მთავრობის სხვა უწყებებთან ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა ეკონომიკური კვლევების მომზადება;
- თვის მიმოხილვის მომზადებაში მონაწილეობა;
- კვარტალური მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა;
- საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა;
- ქვეყანაში ეკონომიკური ცოდნის გაღრმავებისა და კვლევების ხელშეწყობისაკენ მიმართულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

აუცილებელი მოთხოვნები:

- ა) **განათლება:** უმაღლესი (სასურველია მაგისტრის ხარისხი ეკონომიკურ სფეროში);
- ბ) **მუშაობის გამოცდილება:** საფინანსო სფეროში მუშაობის 2 წლის გამოცდილება;
- გ) **საკანონმდებლო ბაზა:** „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- დ) **კომპიუტერული პროგრამები:** MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად
- ე) **უცხო ენები:** ინგლისური ენა - B2; რუსული ენა - B1

კომპეტენციები:

- წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადება;
- ცვლილებების ინიცირება და მართვა;
- ანალიტიკური ანგარიშის მომზადება;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- შედეგზე ორიენტაცია;
- გუნდური მუშაობა;

სასურველია:

- ეკონომიკის მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი (ან დამამთავრებელი კურსი) მაკროეკონომიკის ან ეკონომეტრიკის პროფილით;
- მაკროეკონომიკის ღრმა ცოდნა;
- მაკრო/ეკონომეტრიკულ პაკეტებთან მუშაობის გამოცდილება;

კონკურსის ფორმა:

- განაცხადების გადარჩევა
- ზეპირი დავალება
- გასაუბრება

თანამდებობრივი სარგო: 3841 ლარი

მსურველებს, გთხოვთ, აღნიშნულ ვაკანსიაზე განაცხადი გააკეთოთ მითითებული ბმულის <https://www.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/53363?active=1> საშუალებით მიმდინარე წლის 17 იანვრამდე.